საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №70

ქ. ბათუმი 20 ივლისი, 2018 წ.

ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების ისტორიის მიმართულებით მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის ჩატარების მიზნით საკონკურსო და სააპელაციო კომისიების შემადგენლობისა და უფლებამოსილების ვადის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-8 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების ისტორიის მიმართულებით მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 19 ივნისის №01-08/71 ბრძანების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. „ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების ისტორიის მიმართულებით მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 19 ივნისის №01-08/71 ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის ჩატარების მიზნით დამტკიცდეს:

1.1. საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) თამაზ ფუტკარაძე - ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, კომისიის თავმჯდომარე;

ბ) კახა სურგულაძე - ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, კომისიის მდივანი;

გ) როინ მალაყმაძე - ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, კომისიის წევრი.

1.2. სააპელაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) უჩა ოქროპირიძე - ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, კომისიის თავმჯდომარე;

ბ) იზოლდა ბელთაძე - ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, კომისიის მდივანი;

გ) ოთარ თურმანიძე - ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, კომისიის წევრი.

2. საკონკურსო კომისიის მუშაობის უფლებამოსილების ვადა განისაზღვროს **2018 წლის 23 ივლისიდან 26 ივლისის ჩათვლით** (კონკურსის შედეგები უნდა გამოქვეყნდეს არაუგვიანეს 2018 წლის 26 ივლისისა).

3. საკონკურსო სააპელაციო კომისიის მუშაობის უფლებამოსილების ვადა განისაზღვროს **2018 წლის 24 ივლისიდან 30 ივლისის ჩათვლით**.

4. უფლებამოსილების განხორციელებისას კომისიებმა იხელმძღვანელონ ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილებით, „ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების ისტორიის მიმართულებით მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 19 ივნისის №01-08/71 ბრძანებით, „ბსუ-ს მეცნიერ-თანამშრომლის შესარჩევი ღია კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 19 ივლისის №01-08/90 ბრძანებითა და წინამდებარე დადგენილებით.

5. წინამდებარე დადგენილება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტს, საკონკურსო და სააპელაციო კომისიების წევრებს.

6. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**